რა ღირს გამარტივებული წარმოება?

- ერთი სამართლებრივი საფუძვლით შემოტანილ განცხადებაზე საფასური ფიქსირებულია და შეადგენს 100 (ასი) ლარს, მიუხედავად მოთხოვნილი თანხის ოდენობისა.

- წილობრივი ვალდებულების შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარდგენილია ერთზე მეტი აპლიკანტის მიერ ან/და მიმართულია ერთზე მეტი რესპონდენტის წინააღმდეგ, სააპლიკაციო საფასური შეადგენს 100 (ასი) ლარს თითოეულ პირთან მიმართებაში.

- აპლიკანტს შეუძლია წინასწარ ან წარმოების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს ბრძანების აღსრულება. ამისთვის, მან აღსრულების მომსახურების საგარანტიო თანხა, მოთხოვნის 2% უნდა გადაიხადოს, რომელიც ამოღებული თანხის პროპორციულად უკან დაუბრუნდება.

- გადახდის ბრძანების აღსრულებასთან ერთად აპლიკანტს შეუძლია რესპოდენტის რეგისტრირებული ქონების მიმართ მოითხოვოს ყადაღა, რომლის საფასური თითოეულ ქონებაზე შეადგენს 50 ლარს.

რა უპირატესობა აქვს გამარტივებულ წარმოებას?

აღსრულების ეროვნული ბიუროში დანერგილი გამარტივებული წარმოების მოდიფიცირებული მომსახურება მხარეებს საშუალებას აძლევს დავა სასამართლოსთან შედარებით სწრაფად და ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით მოაგვარონ.

www.nbe.gov.ge

დაინტერესდით?

გაქვთ დამატებითი კითხვები სერვისთან დაკავშირებით?

თქვენს მიმართ არსებული ფულადი ვალდებულება არ სრულდება?

დაგვიკავშირდით

აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო ცენტრში:

+(995 32) 2 749 649

+(995 32) 2 405 405

მოგვწერეთ კითხვები: info@nbe.gov.ge

ისარგებლეთ ვიდეო-კონსულტაციით: nbe.gov.ge

ან მოგრძანდით აღსრულების ეროვნული ბიუროს ნებისმიერ ტერიტორიულ ბიუროში:

— ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ;
— ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის ქ. №20, იუსტიციის სახლი;
— ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №106;
— ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. №7, იუსტიციის სახლი;
— ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. იუსტიციის სახლი;
— ქ. გორი, სამეფოს ქ. №52;
— ქ. თელავი, ა. ვარდოშვილის ქ. №7;
— ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. იუსტიციის სახლი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

გამარტივებული წარმოება

ინიციატორი მესაძლოებლობა მოაგვარონ დავები სასამართლოს გარეშე!

გაამარტივე ყველის დაცვრეება!

www.nbe.gov.ge

თქვენს მიმართ ფულადი ვალდებულება აქვთ შესასრულებელი და ვერ ახერხებთ თანხის დაბრუნებას?

აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი მომსახურება - გამარტივებული წარმოება გთავაზობთ რეალურ შესაძლებლობას ვადადამდგარი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა სასამართლო პროცედურების გავლის გარეშე, სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით მოაგვაროთ.

გამარტივებული წარმოება

რა არის გამარტივებული წარმოება?

გამარტივებული წარმოების მომსახურება გაძლევთ საშუალებას ეფექტურად დაარეგულიროთ ფულადი დავალიანების შეუსრულებლობით წარმოშობილი დავა, რომელიც გულისხმობს თანხის გადახდევინებას და არ უკავშირდება საპასუხო ვალდებულების შესრულებას.

როგორ ხდება გამარტივებული წარმოების მომსახურების მოთხოვნა?

გამარტივებული წარმოების მომსახურების მისაღებად აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ვალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, ხელშეკრულება, ხელწერილი ან შედარების აქტი და გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი საფასური.

გამარტივებული წარმოების მომსახურება აღსრულების ეროვნულ ბიუროში საერთაშორისო, კერძოდ ფრანგული და შვედური გამოცდილების გათვალისწინებით დაინერგა. თუმცა, აქამდე არსებული კლასიკური გაგებით გამარტივებული წარმოების მომსახურებას მრავალი გამამდიდრებელი კომპონენტი დაემატა.

რა ხდება მას შემდეგ რაც მოგმართავს მომხმარებელი?

მომსახურების მოთხოვნის შესახებ განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ, აღსრულების ეროვნული ბიურო უშუალოდ გადასცემს შეტყობინებას მოვალე მხარეს და სრულად უხსნის იმ ნეგატიურ შედეგებს რაც საქმის სასამართლო წარმოებაში გადანაცვლებას შეიძლება მოჰყვეს.

როგორ შეიძლება განვითარდეს წარმოების პროცესი შეტყობინების მეორე მხარისთვის ჩაბარების შემდეგ?

შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში რესპონდენტს შეუძლია განახორციელოს ერთ-ერთი მოქმედება:

- სრულად დაფაროს აპლიკანტის მიმართ არსებული დავალიანება;
- დაფაროს დავალიანების ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;
- განაცხადოს წერილობითი პროტესტი აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ, თუ არ ეთანხმება მოთხოვნას;
- წერილობით აღიაროს მოთხოვნა სრულად, თუ მოთხოვნას მართებულად მიიჩნევს;
- წერილობით აღიაროს მოთხოვნის ნაწილი, თუ მოთხოვნას ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს;
- წარადგინოს განცხადება მორიგების შეთავაზების შესახებ, თუ სურს აპლიკანტთან გადახდის პირობებზე შეთანხმება.
- არ განახორციელოს არცერთი ზემოთჩამოთვლილი ქმედება.

რა იგულისხმება მხარეთა მორიგებაში?

მორიგების ფარგლებში, მხარეებს აქვთ რეალური შესაძლებლობა შეთანხმდნენ ვადახდის ვადასა და/ან გადასახდელის თანხის ოდენობაზე, მათ ამაში მედიაციაში სპეციალიზირებული პროფესიონალები - - - აღსრულების ეროვნული ბიუროს ქეის-მენეჯერები დაეხმარებიან.

პროცედურულად ეს ყველაფერი შემდეგნაირად გამოიყურება:

- რესპონდენტი, ანუ მოვალე, წარადგენს განცხადებას მორიგების შესახებ;
- ქეის-მენეჯერი იწყებს მორიგების პროცესს;
- აპლიკანტი და რესპონდენტი თანხმდებიან პირობებზე;
- მტკიცდება მორიგების პირობები;
- მორიგების პირობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ქეის-მენეჯერი.

რესპონდენტის მიერ მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში, აპლიკანტის განცხადების საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს ბრძანებას დავალიანების გადახდევინების შესახებ მორიგების პირობებში აღნიშნული და რესპონდენტის მიერ დაუფარავი დავალიანების ოდენობაზე.

მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა იწვევს რესპონდენტის პროტესტის შემთხვევაში გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს; მხოლოდ რესპონდენტის თანხმობის შემთხვევაშია დასაშვები დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემა დავალიანების იმ ოდენობაზე, რომელსაც ცნობს რესპონდენტი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამარტივებული წარმოება

გაიმარტივე ვალის დაბრუნება!

➢ გამარტივებული წარმოება - აღსრულების ეროვნული ბიუროს ახალი მომსახურება

გამარტივებული წარმოება გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას მოაგვაროთ თქვენს მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დავა მარტივად, ეფექტურად და მცირე დანახარჯით. გამარტივებული წარმოება დასაშვებია ფულადი დავალიანების გადახდევინების მოთხოვნაზე, რომელიც არ უკავშირდება საპასუხო ვალდებულების შესრულებას.

➢ ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების აპრობირებული მეთოდი

გამარტივებული წარმოების მომსახურება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და აპრობირებული. საერთაშორისო, კერძოდ, შვედური და ფრანგული პრაქტიკის გათვალისწინებით, აღსრულების ეროვნული ბიურო გთავაზობთ სრულიად ახალ მომსახურების ფორმას, რომელსაც კლასიკური გაგებით გამარტივებული წარმოების პროცედურისგან განსხვავებით უამრავი გამამდიდრებელი კომპონენტი გააჩნია.

www.nbe.gov.ge

➢ მხარეების მაღალი ჩართულობა და ორმხრივად მისაღები შედეგი

წარმოების პროცესში, მოვალე მხარის ინფორმირება მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმის შესახებ ხდება შეტყობინების პირადად ჩაბარების გზით. მედიაციაში დახელოვნებული სპეციალისტების, ქეის მენეჯერების საშუალებით მხარეებს უჩნდებათ რეალური შესაძლებლობა მოილაპარაკონ და მიაღწიონ კონსენსუსს.

➢ გამარტივებული წარმოების მომსახურების მისაღებად საჭიროა:

აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარმოადგინოთ ვალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, ხელშეკრულება, ხელწერილი ან შედარების აქტი და გადაიხადოთ კანონმდებლობით დადგენილი საფასური.

➢ ინფორმაცია სამართლებრივი შედეგების შესახებ

- დავალიანების ოდენობასა და დაფარვის პირობებზე მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მტკიცდება მხარეთა მორიგების პირობები.
- ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე თუ რესპონდენტი არ განახორციელებს მისთვის პირადად ჩაბარებულ შეტყობინებაში მითითებულ არცერთ მოქმედებას, ასევე აღიარების ან მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში.
- ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ ძალაშია გამოცემის დღიდან. აპლიკანტის მიერ ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად მისი გამოცემიდან 5 წლის განმავლობაში.

გამარტივებული წარმოება - ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავის მოგვარების ეფექტური მეთოდი!